პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976
სამშაბათი
11
მაისი
№ 109
(16539)
ფასი
2 კაპ.
1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 2 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

135.000 ტონა ჩაისათვის

გეგეჭკორელ მეჩაიეებთან

გეგეჭკორი. („კომუნისტის“ კორ.). წლეულს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა იესერეს მოკრეფონ და გადასამუშავებლად ფაბრიკებს ჩაბარონ 16.600 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 15.600 ტონისა.

მეჩაიეები შეუდგნენ პირობის შესრულებას. პლანტაციებს არ აკლებენ მზრუნველ ხელს, ამის შედეგად ფოთოლი უკვე შეგროვდა საკრეფად.

ფოთლის კრეფის სეზონის დაწყებიდან შეუფერხებლად მუშაობენ გეკედლის კოლმეურნეობა „ავანგარდის“ წევრები. მათ მარშან რაიონში პირველობა მოიპოვეს: ჰექტარზე საშუალოდ 8.422 კილოგრამი „მწვანე ოქრო“ მიიღეს. წლეულს ჰექტარზე საშუალოდ მოკრეფოთ 8.500 კილოგრამი ფოთოლი — ასეთია გაკეთილი მეჩაიეთა გადაწყვეტილება.

„მწვანე ოქროს“ სწრაფად, ხარისხიანად კრეფენ ხუნწის ცხაკაიას სახელობის, აბეედათის, რეგე კოლმეურნეობაში, სერგეეთის ბედიას სახელობისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში.

ლენინის ორდენსანი ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის (ზუგდიდის რაიონი) მექანიზატორები შეუდგნენ მანქანებით ჩაის ფოთლის კრეფას. ინგირელები წლეულს სამშობლოს მისცემენ 3.800 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს. აქ ნედლეულს ძირითადად ჩაის საკრეფი მანქანებით მოკრეფენ. გამოყენებული იქნება აგრეთვე ჩაის საკრეფი მცირე მექანიზაცია.

ცნობილმა მექანიზატორმა, სოციალისტური შრომის გმირმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ვალერიან მეუნარგიამ პირველ დღეს მანქანა „საქართველოთი“ ოთხი ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა.

სურათზე: — ფოთლის მექანიზებული კრეფა ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში.

ი. ბოსტნეულიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

თესვის გეგმა შეასრულეს

ვანის რაიონის მხვნელ-მთესველებმა ორგანიზებულად იშრომეს და 3 მაისისათვის შეასრულეს საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა. დათესილია 2.210 ჰექტარი სიმინდი ნაცვლად 2.110 ჰექტარისა, 380 ჰექტარი სოია, რაც გეგმის 100 პროცენტს უდრის. შესრულებულია ლობიოს თესვის დავალებაც.

წარმატებით შესრულდა ბოსტნეულის თესვის გეგმა. ბოსტნეული დათესილია 702 ჰექტარი ნაცვლად 675 ჰექტარისა. ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს პარტიის ვანის რაიკომის პირველმა მდივანმა ჯ. ახმეტელმა და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. დვალიშვილმა.

ექვსი თვის დავალება — ოთხ თვეში

სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმების შესრულებაში თავი ისახელეს: ადიგენის რაიონმა, რომელმაც დავალება 117 პროცენტით შეასრულა, ხაშურის რაიონმა ხორცის დამზადების 6 თვის გეგმა 113 პროცენტით გაანაღდა, გორის — 106, კასპის — 137, სიღნაღის — 144, ყვარლის — 104, სამტრედიის—108, წყალტუბოს—103, მარნეულის—109, წალკის—146, წულუკიძის—117, საჩხერის — 109, ცაგერის რაიონმა — 123 პროცენტით.

ქუთაისი-საჩხერის, ეფექტიანობის-სუთნელები

კომკავშირულ პროდუქციას — საქარხნო ხარისხის ნიშანი

ასორციელებენ რა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კომკავშირლებმა და ახალგაზრდობამ მოიწოდეს ქალაქ თბილისის ახალგაზრდა მშრომელებს გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება დევიზით: „კომკავშირულ პროდუქციას — საქარხნო ხარისხის ნიშანი!“. მათ იკისრეს ვალდებულება — დიდი ოქტომბრის 60 წლისთავის დღესასწაულისათვის მიაღწიონ იმას, რომ საქარხნო ხარისხის ნიშანი მიენიჭოს მათ მიერ გამოშვებული 60 სახეობის პროდუქციას.

ამასთანავე ახალგაზრდა დიმიტროველებმა ამოცანად დაისახეს მიბაძონ დემურ მაზმიშვილის კომკავშირული ბრიგადის მაგალითს. ამ ბრიგადამ იკისრა შეფობა № 38 საბაზო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის სასწავლო კლასისადმი, რათა მოსწავლეებს ჩაუნერგოს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება და ასწავლოს მათ უდეფექტო პროდუქციის დამზადება.

თავიანთ სოციალისტურ ვალდებულებებში ახალგაზრდა დიმიტროველებმა გადაწყვიტეს მოიგაწეონ სოციალისტური შეჯიბრება „ხარისხის წარჩინებულის“, „ჩინებული ხარისხის კოლექტივის“ წოდებისათვის. მარტო წელს 25 ახალგაზრდა წარმოების მოწინავე მუშაკი მოიპოვებს პროდუქციაზე სკუთარი დამდის დასმის უფლებას, ხოლო 120 — კომუნისტური შრომის დამჯერელის წოდებას. ქარხნის ახალგაზრდობა მოიწყობს კონკურსს „თავის პროფესიაში სუკეთესოს“ წოდებისათვის, დიდ ყურადღებას დაუთმობს წარმოების შემდგომ სრულყოფას, პროფესიულ ოსტატობის დონის ამაღლებას, ნედლეულისა და მასალების მიმტერნეობით ხარჯვას.

(საქინფორმი).

ახალი ასორტიმენტით

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებს აღწევს ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალას“ კოლექტივი. აქ სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციის ოთხი თვის გეგმა იქვსი დღით ადრე, 108 პროცენტით გაანაღდეს, ხოლო ფეხსაცმლის გამოშვებისა — 107 პროცენტით.

გეგმის გადამეტებით წარმოებულია 91 ათასი მანეთის პროდუქცია, ანუ 25 ათასი წყვილი ბავშვის ახალი ასორტიმენტის ფეხსაცმელი.

ფაბრიკის კოლექტივი მაისშიც მაღალნაყოფიერად შრომობს.

ვარდნილჰესების მილიონები

ზუგდიდი. მდინარე ენგურის გალის წყალსაცავში ვადაგდების შემდეგ ვარდნილი ჰიდროელექტროსადგურების ელექტროენერგიის გამომუშავება დღითიდღე მატულობს, მათი ტურბინებმა ქვეყანას უკვე 215 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია მიაწოდეს.

— ენგურის შემოერთებამდე ჰიდროტურბინების გამომუშავება ძალიან დაბალი იყო, 1971 წლის მარტიდან 1975 წლის ბოლომდე მათ მრეწველობას მხოლოდ 121 მილიონ კილოვატ-საათი ელექტროენერგია მისცეს, — თქვა ჩვენთან საუბარში კასკადების დირექტორმა გ. რიეამაძემ, — მაშინ როცა წლეულს მარტო პირველ კვარტალში გამომუშავებული იყო 52 მილიონ 500 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

იმატა ვარდნილჰესების ყოველდღიურმა გამომუშავებამაც, ახლა მან 1 მილიონ კილოვატ-საათს მიაღწია.

ლ. ბარქაია.

„პრავდის“ ფურცლებზე

[illegible] ხალხმა ტრადიციულად იზეიმა გამარჯვების დღე.

დღეს მსოფლიომ იცის,— წერს გაზეთი, — რომ ჩვენმა ხალხმა მეორე მსოფლიო ომის წლებში უდიდესი გმირობა ჩაიდინა, გადამწყვეტი წვლილი შეიტანა ჰიტლერული ფაშიზმისა და იაპონური მილიტარიზმის განადგურებაში. მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვება უყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის გამარჯვებად იქცა.

ამ დღეებში ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში, მუნიციპალიტეტებსა და დაწესებულებებში ეწყობა საზეიმო სხდომები, გულთბილ სიტყვებს ეუბნებიან ვეტერან-ფრონტელებს, ახალგაზრდობა ხვდება დიდი სამამულო ომის მონაწილეებს.

გამარჯვების დღესასწაულის წინადღეს, — განაგრძობს გაზეთი, — სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ლ. ბრეჟნევს საბჭოთა კავშირის მარშლის მხედრული წოდება მიენიჭა. დნეპროპეტროვსკის ოლქის ქალაქ დნეპროძერჟინსკში გაიმართა მიტინგი, რომელიც სსრ კავშირის გმირის, სოციალისტური შრომის გმირის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გრინჯაოს ბიუსტის გახსნას მიეძღვნა.

გამარჯვების ოცდამეთერთმეტე გაზაფხული თავის გზას განაგრძობს.

კვირის ნომერში მკითხველი სწორედ ამ მოვლენების ამსახველ მასალებს ნახავს.

ამავე ნომერშია ცნობა („ლენინიანა შეივსო“), რომ ირკუტსკის ოლქის სახელმწიფო არქივში აღმოაჩინეს ვ. ი. ლენინის სახელთან დაკავშირებული ახალი დოკუმენტები.

მხიარული სიტყვის მოყვარულთა შეუძლიათ წაიკითხონ ცნობილი რუსი მწერლის ბორის ლასკინის იუმორისტული მოთხრობა „ციმბირელი დალაქი“.

□

საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებზეა ლაპარაკი გუშინდელი, 10 მაისის ნომრის მეთაური წერილში — „თესვა აღმოსავლეთისაკენ მიიწევს“.

„მეათე ხუთწლედის პირველი წლის უხვი მოსავლის მოსაპყრობად, — წერს გაზეთი, — წარმატებული ბრძოლისათვის მთავარია უნარიანად გაკანონილოთ ძალები წარმოების გაფართოებულ უბნებზე. ასეთ ყველაზე მნიშვნელოვან უბნად, რომელზეც, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია თესვის კონვეიერის ზუსტი მუშაობა, შეიძლება დასახელოთ მანქანების პარკის ეფექტიანი გამოყენება. ახლა განსაკუთრებით იზრდება მოთხოვნები მეურნეობათა საინჟინრო სამსახურისადმი, „სოფლტექნიკის“ საწარმოებისადმი.

ამ დაკაბულ პერიოდში პასუხსაგები ამოცანებია დასახული სოფლის პარტიული ორგანიზაციების წინაშე. თესვის სანიმუშო დამთავრებისათვის უნდა დავრაზმოთ საერთო ძალები და აქტიურად ვაწარმოოთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. უფრო ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება, ყოველნაირად დავუჭიროთ მხარი მოწინავეთა ინიციატივებს“.

„როდესაც ამ დღეებში რომელიმე რესპუბლიკის იდეოლოგიური მუშაობის თავისებურებებზე ვლაპარაკობთ, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის მხურვალე დაღრმა ინტერესი, რასაც კომუნისტები და კომკავშირელები იჩენენ, თვითეული მშრომელი იჩენს სკკპ XXV ყრილობისათვის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარდგენილი მოხსენებისა და ყრილობის სხვა მასალების შესწავლისას. მთელ ამ მუშაობაში არის დროის სულისკვეთების მკაფიოდ ამსახველი დამახასიათებელი ნიშნები. ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ს. პავლოვი რესპუბლიკის იდეოლოგიური მუშაობის თავისებურებებზე ეხაობრება მკითხველს — „რით მიდიხარ ადამიანებთან?“ (რუბრიკა — „პარტიული ცხოვრება: იდეური აღზრდა — კომპლექსური მიდგომა“).

მეოთხე გვერდზე მკითხველის ყურადღებას მიიქცევს ბ. სმოლნიკოვის წერილი — „ჯარისკაცის მინდორი“.

PRAVDA

ოფიციალური ვიზიტი

ფილიპინების რესპუბლიკის პრეზიდენტის ფერდინანდ ე. მარკოსის სსრ კავშირში ჩამოსვლის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით ფილიპინების რესპუბლიკის პრეზიდენტი ფერდინანდ ე. მარკოსი და ქალბატონი იმელდა რომოუალდეს მარკოსი ოფიციალური ვიზიტით ჩამოვლენ საბჭოთა კავშირში წლეულს მაისის დასაწყისში.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს გადაეცა მარშლის წარჩინების ნიშანი

10 მაისს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნინმ საბჭოთა კავშირის მარშალს ლ. ი. ბრეჟნევს გადასცა მარშლის წარჩინების ნიშანი „მარშლის ვარსკვლავი“ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი.

გადაცემისას გამოვიდა ამხ. ნ. ვ. პოდგორნინი.

ამხანაგ ნ. ვ. პოდგორნინის გამოსვლა

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ!

ძვირფასო ამხანაგებო!

უდიდეს კმაყოფილებას მგვრის საპატიო და უაღრესად სასიამოვნო მისია — გადავცე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანს, სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეს, ჩვენს ამხანაგსა და მეგობარს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს „მარშლის ვარსკვლავი“ — საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი მხედრული წოდების წარჩინების ნიშანი.

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ!

ის ამბავი, რომ თქვენ საბჭოთა კავშირის მარშლის მხედრული წოდება მოგენიჭათ, ღრმად კანონზომიერია. ყველამ კარგად ვიცით, რომ თქვენს მრავალმხრივ და მრავალფეროვან მოღვაწეობაში თავდაცვის, შეიარაღებული ძალების მშენებლობის, მათი საბრძოლო მზადყოფნის გაუხრელი ამაღლების საკითხებს მუდამ ეკავა და უკავია ერთ-ერთი წამყვანი ადგილი.

თქვენი ცხოვრება და მუშაობა უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული არმიასთან, ჩვენს გმირ შეიარაღებულ ძალებთან, რომლის კადრებშიც თქვენ უკვე მრავალი წელია ბრძანებით. როგორც პარტიის ერთგული ჯარისკაცი, თქვენ დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე ფაქიზთ მოქმედ არმიაში, ფაშიზმთან ისტორიული ბრძოლის ქარცეცხლიან ფრონტებზე, ბევრ ძნელ უბანზე.

თქვენ, მებრძოლი ოფიცერი და პოლიტმუშაკი, ყველას ახსოვხართ ნოვოროსიისკთან, ლენინგრადულ მცირე მიწაზე ხისხლისმღვრელი შეტაკებების, უკრაინისათვის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, უნგრეთის ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლების ამბებით.

მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების უფროსობიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნობამდე, სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეობამდე, საბჭოთა კავშირის მარშლობამდე — ასეთი შესანიშნავი გზა გამოიარა მეომარმა კომუნისტმა, ხელმძღვანელმა და მხედართმთავარმა, რომელიც ამჟამად თანამედროვეობის პოლიტიკური სტრატეგიის — მშვიდობისა და სოციალიზმის სტრატეგიის საქმეს მართავს.

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ!

თქვენ პოლიტიკური ხელმძღვანელის უზარმაზარ მომაღლებულმა ღირსებებმა, შესანიშნავმა ადამიანურმა თვისებებმა მოგიხვეჭათ საბჭოთა ხალხის სიყვარული, სიზზღვარგარეთელი კომუნისტების, მსოფლიოს ყველა პროგრესული ადამიანის აღიარება. სკკპ XXV ყრილობამ განსაკუთრებით დამაჯერებლად გვიჩვენა, თუ რაოდენ მაღალი ავტორიტეტი აქვს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს.

ეს ავტორიტეტი ჩვენი ლენინური პარტიის ავტორიტეტია, ჩვენი დიადი სამშობლოს ავტორიტეტია. იგი მოწმობს ჩვენი პოლიტიკის ცხოველმყოფელობასა და ძალას, იმ კურსის სისწორეს, რომლითაც მივდივართ თქვენი ხელმძღვანელობით.

გულდაჯერებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევისათვის, საბჭოთა კავშირის მარშლის წოდების მინიჭების ამბავს უდიდესი კმაყოფილებით აღიქვამენ ჩვენი სახელოვანი შეიარაღებული ძალების რიგებში, მთელი ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი, ისევე როგორც ჩვენი ხაზგვარგარეთელი მეგობრები.

მხურვალედ და გულითადად მოგილოცავთ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, ამ ღირსსახსოვარ მოვლენას. ხელითა და გულით გისურვებთ ჯანმრთელობას მრავალჟამიერ, დღეგრძელობას, ასთესავე უშრეტ ენერგიას, ახალ წარმატებებს თქვენს უაღრესად ძნელ პოსტზე.

ნება მიბოძეთ, გადმოგცეთ „მარშლის ვარსკვლავი“ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმ.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

უდიდესი მადლობა, მხურვალი მადლიერებისა და პარტიის წინაშე, სამშობლოს წინაშე, საბჭოთა ხალხის წინაშე ჩემი მოვალეობის დიდი შეგნების გრძნობით ვიღებ ჩემთვის მონიჭებული საპატიო მხედრული წოდების — საბჭოთა კავშირის მარშლის აქ ნიშნებს.

ნება მიბოძეთ გულითადი მადლობა გადავუხადო პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს სამშობლოს დაცვის, მისი ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების, ჩვენი ქვეყნის უშიშროებისა და საყოველთაო მშვიდობის დამკვიდრების დარგში ჩემი მოღვაწეობის ესოდენ მაღალი შეფასებისათვის.

მე ვთვლი, რომ ეს არ არის მარტო ჩემი წვლილის აღიარება დიდი სამამულო ომის ფრონტებზე საბრძოლო მოქმედებაში, ომისა, რომელიც განვლე ბრძოლის ველებზე პირველი დღიდან უკანასკნელ დღემდე.

ჩემი აზრით, ეს უწინარეს ყოვლისა, ერთხელ კიდევ მოგვაგონებს ჩვენი შეიარაღებული ძალების დიად გმირობას იმ დაუვიწყარ დღეებში, როცა ჩვენ ყველანი, პარტიის ნებით გაერთიანებულნი, საყოველთაო-სახალხო შემართებით შთაგონებულნი, თავდაუზოგავად, უკანასკნელ ხისხლის წვეთამდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ვიბრძოდით ფაშისტ აგრესორებზე, დამპყრობლებსა და ჩაგვრელებზე გამარჯვებისათვის, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, დამონებულ ხალხთა განთავისუფლებისათვის.

ჩემი აზრით, ეს აგრეთვე არა მარტო იმის აღიარებაა, რისი გაკეთებაც შევძელი პარტიის დავალებით ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებისათვის. ეს უწინარეს ყოვლისა ერთხელ კიდევ მოგვაგონებს მილიონობით საბჭოთა ადამიანის დიად საქმეებს, რომლებმაც თავდადებული შრომით ომის ნანგრევებიდან და ნახანძრალიდან აღადგინეს ქვეყანა, უფრო ძლიერი და მშვენიერი გახადეს იგი, ვიდრე ოდესმე იყო, უზარუნველყვეს მისი თავდაცვის უძლეველობა, ჩვენი ხალხის მშვიდობიანი შრომის საიმედო დაცვა.

და ბოლოს, საბჭოთა კავშირის მარშლის წოდების მონიჭება მიმაჩნია არა მარტო იმ წვლილის მაღალ შეფასებად, რომელიც ბედმა მარგუნა პირადად შემეტანა საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პასუხსაგებ პოსტზე ყოფნის დროს.

ჩემი აზრით, ეს უწინარეს ყოვლისა, ერთხელ კიდევ მოგვაგონებს, თუ რა დიდი კეთილნაყოფიერი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისა და მომავ სოციალისტური ქვეყნებისათვის, მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის იმ ბრძოლას, რომელსაც თანმიმდევრულად და განუხრელად ეწევიან ჩვენი კომუნისტური პარტია, ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო, დიდი ლენინის უკვდავი ანდერძის შესაბამისად, ქვეყნად მტკიცე მშვიდობისა და სახელმწიფოთა შორის ნაყოფიერი თანამშრომლობის განვითარებისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და პროგრესისათვის.

სწორედ ამიტომაა, ამხანაგებო, რომ ახლა ამ საპატიო ნიშანს ვიღებ არა მარტო ჩემი ნაღვაწის შეფასებისათვის დიდი და გულწრფელი მადლიერების გრძნობით, არამედ იმ დამატებითი პასუხისმგებლობის მკაფიო შეგნებითაც, რომელსაც ასეთი შეფასება მაკისრებს საბჭოთა ხალხის უზენაესი ინტერესების, ყველა ქვეყნის მშრომელთა, ყველა იმათი ინტერესებისათვის სამსახურის საქმეში, ვისაც სჭირდება და ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა ჩვენს პლანეტაზე.

ამ საპატიო ნიშანს ვიღებ ჩვენი სახელოვანი შეიარაღებული ძალებისათვის, ჩვენი გმირი საბჭოთა ხალხისათვის, მისი ლენინური პარტიისათვის, ჩვენი დიადი უძლეველი საბჭოთა სამშობლოს — ქვეყნად მშვიდობისა და პროგრესის საიმედო ბურჯისათვის უსაზღვრო სიამაყის გრძნობით.

* * *

ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს გულითადად მიულოცეს ამხანაგებმა ი. ვ. ანდროპოვმა, ვ. ვ. გრიშინმა, ა. ა. გრომიკომ, კ. ტ. მაზუროვმა, ა. ი. პელშემ, მ. ა. სუსლოვმა, დ. თ. უსტინოვმა, პ. ნ. დემიჩევმა, ბ. ნ. პონომარიოვმა, მ. ს. სოლომენცევმა, ი. ვ. კაპიტონოვმა, ვ. ი. დოლგიხმა, კ. თ. კატუშევმა, მ. ვ. ზიმიანინმა, კ. უ. ჩერნენკომ, რომლებიც ესწრებოდნენ მარშლის წარჩინების ნიშნის გადაცემას.

* * *

შემდეგ ამხ. ნ. ვ. პოდგორნინმ არმიის გენერლის წარჩინების მხედრული ნიშანი — „მარშლის ვარსკვლავი“ გადასცა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს დ. თ. უსტინოვს. ამხ. დ. თ. უსტინოვმა გულთბილი მადლობა გადაიხადა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ როგორც სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პოსტზე დანიშვნა, ისე ამ წარჩინების მხედრული ნიშნის გადაცემა მას მიაჩნია პარტიის დიდი ნდობის გამოხატულებად და არ დაიშურებს ძალონეს ამ ნდობის გასამართლებლად. (საკდესი).



ლ. ი. ბრეჟნევისათვის მარშლის წარჩინების ნიშნის „მარშლის ვარსკვლავისა“ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელის გადაცემის დროს.

საკდესი-საქინფორმის ტელეფოტო.

გმირობის უკვდავება

თითქმის ათი წელია ანთია მარადიული ცეცხლი უცნობი ჯარისკაცის საფლავზე კრემლის კედელთან. ოქროსფერი ვარსკვლავი შავ მარმარილოზე, მიხაკებისა და ტატების წითელი თაიგულები... და სიტყვები: „შენი სახელი უცნობია, შენი გმირობა — უკვდავი“.

9 მაისს ალექსანდრეს ბაღში ვანსაკუთრებით სიზიერმი განწყობილებაა, ვაუთავებელ ნაკადად მოედინებიან მოსკოველები, დედაქალაქის სტუმრები. დიდუბულთა ხსოვნის პატივისაცემად აქ მოვიდნენ პარტიის, სამოქალაქო ომისა და სამამულო ომის ვეტერანები, დედაქალაქის საწარმოთა მშრომელები, კომკავშირელები, პიონერები, საბჭოთა არმიისა და საჰხელრო-საზღვაო ფლოტის მეომრები.

მარადიულ ცეცხლთან გარინდულან მოსკოველი გარნიზონის ჯარისკაცთა კოლონები. ფოიალებს იმ ნაწილებისა და შენაერთების ალისფერი საბრძოლო დროშები, რომლებმაც თავი ისახელეს ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში.

გმირთა ხსოვნის პატივისაცემად აქ მოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, არმიის გენერალი დ. თ. უსტინოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილეები საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ი. იაკუბოვსკი და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, არმიის გენერალი ს. ლ. სოკოლოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილეები, საბჭოთა კავშირის მარშლები, არმიის გენერლები და ვვარეგობათა ჯარების მარშლები, გენერლები და ადმირალები.

უცნობი ჯარისკაცის საფლავზე მიიტანეს გვირგვინი, რომლის წითელ ლენტზე წარწერილია: „უცნობ ჯარისკაცს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მეომრებისაგან“. საბჭოთა მხედართმთავრებმა წუთიერი დუმილით სცეს პატივი იმათ ხსოვნას, ვინც სიცოცხლე შესწირა ბრძოლას ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის, ბედნიერებისა და დამოუკიდებლობისათვის.

შესრულდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

მემორიალის წინ სიზეიმო მარშით ჩაიარეს მოსკოვის გარნიზონის ქვეგანაყოფებმა, რომლებმაც მხედრული პატივი სცეს დაღუპულ გმირებს.

გვერდები საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ი. იაკუბოვსკი და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, არმიის გენერალი ს. ლ. სოკოლოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, არმიის გენერალი ს. ლ. სოკოლოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილეები, საბჭოთა კავშირის მარშლები, არმიის გენერლები და ვვარეგობათა ჯარების მარშლები, გენერლები და ადმირალები.

უცნობი ჯარისკაცის საფლავზე მიიტანეს გვირგვინი, რომლის წითელ ლენტზე წარწერილია: „უცნობ ჯარისკაცს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მეომრებისაგან“. საბჭოთა მხედართმთავრებმა წუთიერი დუმილით სცეს პატივი იმათ ხსოვნას, ვინც სიცოცხლე შესწირა ბრძოლას ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის, ბედნიერებისა და დამოუკიდებლობისათვის.

შესრულდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

მემორიალის წინ სიზეიმო მარშით ჩაიარეს მოსკოვის გარნიზონის ქვეგანაყოფებმა, რომლებმაც მხედრული პატივი სცეს დაღუპულ გმირებს.

გმირთა ხსოვნა მარადიულია

უკვდავების სიმბოლოდ გზაგზებს მარადიული ცეცხლი თბილისის გამარჯვების პარკში უცნობი ჯარისკაცის საფლავზე. დიდების მშვენიერი მემორიალის ფიგურა იგი გამოხატავს მიტლერული ფაშიზმის წინააღმდეგ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის მარადიული გმირობას.

9 მაისს, საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის დღეს — დიადი გამარჯვების 31-ე წლისთავის დღეს, გამარჯვების პარკს განსაკუთრებული საზეიმო ელფერი ეფინა. აქ დილადანვე მოდიოდნენ თბილისელთა კოლონები, რესპუბლიკის ყველა კუთხიდან, ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდან ჩამოსული სტუმრები — დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეები, ახალგაზრდობა, ისინი, ვინც ქმნიდა ჩვენს ისტორიას, სახელოვან ტრადიციებს, ისინი, ვინც დღეს ამ ტრადიციებს განაგრძობს.

უცნობი ჯარისკაცის საფლავთან გარინდულა სპატიო ყარაული. აქ თბილისის გარნიზონის ახალგაზრდა მეომრებთან ერთად ვახტზე დგანან ნორჩი პიონერები.

პარკში დიდებულად ელერს საბჭოთა მეომარი. ამხანაგებმა პ. ვ. გალაშვილმა, ა. ნ. ინაურმა, შ. დ. კიკნაძემ, გ. ვ. კოლბინმა, პ. ვ. მელნიკოვმა, თ. ნ. მენთეშაშვილმა, ზ. ა. პატარიძემ, ჯ. ი. პატარაშვილმა, ე. ა. შევარდნაძემ, ზ. ა. ჩხეიძემ, ე. კ. შარტავამ, ო. ე. ჩერქეზიამ, ნ. ა. ქითანავამ, ს. ე. ხაბეიშვილმა ვახაფულის ყუთელების გვირგვინთან შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი. ალისფერ ლენტზე წარწერილია: „უცნობ ჯარისკაცს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან“.

რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან ერთად არიან საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები, პარტიისა და კომკავშირის ვეტერანები, წარმოების მოწინავეები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეები, გმირულად დაღუპული ჯარისკაცებისა და ოფიცრების ოჯახის წევრები.

შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს ჩვენი დიადი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში დაღუპულ გმირთა ხსოვნას. საფლავთან გვირგვინები მოაქვთ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და თბილისის საქალაქო საბჭოს, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდლობის, საქართველოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის პროფსაბჭოს სახელით, სამინისტროთა და უწყებათა კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელით. გამარჯვების პარკში ელერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

უცნობი ჯარისკაცის საფლავის წინ, პატარა მოედანზე, მხედრული პატივი სცეს, დახრილი დროშებით მწყობრად ჩაიარეს საპატიო ყარაულის ასეულმა და კ. ნ. ლესელიძის სახელობის სპეციალიზებული სკოლა-ინტერნატის კურსანტებმა.

გმირები უკვდავნი არიან. მათს ხსოვნას სამუდამოდ ინახავს გუ-

(დასასრული მე-2 გვერდზე).

გმირთა ხსოვნა მარადიულია

(დასასრული)

ლში ხალხი, რომელიც ანიჭებს მათ თავის ძალას, გოქაცობას, უკვდავებას...

საბჭოთა კავშირის სხვა ეროვნების ბადმანებთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის 673 ათასი წარმომადგენელი შედა ფაშისტურ გერმანიასა და მის სატელიტებზე გამარჯვებას, დაიცვა სოციალისტური სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, შეასრულა დიადი განმათავისუფლებელი მისია, პირნათლად მოიხადა ინტერნაციონალური ვალი.

20 მილიონი საბჭოთა მოქალაქე დაიღუპა ამ სისხლისმღვრელ ომში. ამ მრისხანე ქაქს თბილისში ანლაგდა სამხედრო ჰოსპიტლები, სადაც პირდაპირ ფრონტიდან ჩამოპყავდათ დაჭრილები. თუმცა ექიმები ბევს ეცადნენ შათს გადარჩენას, ზოგიერთი დაჭრილი გარდაიცვალა. ომის დამთავრებიდან 31 წლის შემდეგ თბილისში ტრადიციისამებრ ამ მემორიალურ საფლავებზე — კუკიის სასაფლაოსა და 26 კომისრის რაიონის სასაფლაოზე, სადაც ჯარისკაცები და ოფიცრები განისვენებენ, გამართა „დიდ ეპოქულთა ხსოვნის“ სამგლოვიარო მიტინგები.

მოსაწვინის სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში შრომის ახალგაზრდა გვარდიელები შეხვდნენ ინვალიდთული წითელდროშოვანი 414-ე დივიზიის ვეტერანებს, ხოლო ლენინის ტბაზე წითელ პარტიზანთა სახელობის პარკში შეიკრიბნენ პარტიზანული მოძრაობის ვეტერანები და თბილისის სკოლების მოსწავლეები.

მაბისი ამ დღეს განსაკუთრებით ხალხმრავლობა იყო თბილისის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში. აქ მოვიდნენ საბრძოლო ჯილდოებით მკერდდაშვენებული სპეკოთა არმიის ჯარი გენერლები და ოფიცრები, წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, კომკავშრომლები. პიონერები. ვეტერანები იგონებენ მკაცრ და გმირულ დღეებს, როცა ბრძოლის ქარცეცხლში იქმედებოდა დიადი გამარჯვება. ახალგაზრდობა თითქოს ეზიარა ომით უკვდავ გმირობას, ვინც გაიარა ომის ცხინველება, რომ მათს შვილებსა და შვილიშვილებს ყოველთვის ეცხოვრათ. მოწმენდილ, მშვიდობიანი ცის ქვეშ.

სამეფო სტუმრებს შორის არიან საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თბილისის სექციის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გმირი, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი ვ. ჯანჯღავა, სტალინგრადში მებრძოლი, დივიზიის მეთაური, გადამდგარი გენერალ-მაიორი ნ. თავართქილაძე, კავკასიისათვის ბრძოლის ერთ-ერთი გმირი, გადამდგარი გენერალ-მაიორი გ. ყურაშვილი, ბერლინის განთავისუფლების მონაწილე, ხუთი წითელი დროშის ორდენის კავალერი, გადამდგარი პოლკოვნიკი ს. შაპოვალოვი, პოლიტმუშაკები — გადამდგარი პოლკოვნიკები ვ. ჯანჯღავა, მ. ბუსკაძე, კომისარი ქალი, გადამდგარი მაიორი ე. მუშკუდიანი, სამხედრო ექიმი, მედიცინის სამსახურის გადამდგარი კაპიტანი ე. ჩხიკვიშვილი, წარჩინებული მკედელი, სოციალისტური შრომის გმირი ქ. ილურიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი“ ნ. ციცხვაველი, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ვერა დავიდოვა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კონორეველორი შ. ჩაკუნავა და ბევრი სხვა ომის გმირი და ზურგის მშრომელი.

ომის ვეტერანთა საბჭოს თბილისს სექციის თავმჯდომარე, მე-18 სადესანტო არმიის გადამდგარი გენერალ-მაიორი ილიადმერ ზარელია ამ არმიის პოლიტგანყოფილების უფროსის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის თანამგზრძოლია. მოღვაწეობით უსმენენ მუზეუმის დამფაილირებლები მის ნაამბობს ნოეროროსისკის დამცველთა „მცირე მიწაზე“ ლეგენდარული დესანტის გმირობაზე, რომლებსაც მთავაგრნებდა და მოეძოდა პოლკოვნიკი ლ. ი. ბრეჟნევი, ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაზე, მოელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დიდ როლზე.

„განსაკუთრებით სასიხარულოა, — თქვა გენერალმა, — რომ გამარჯვების დღის 31-ე წლისთავის ზეიმის წინ სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს მიენიჭა საბჭოთა კავშირის მარშლის მაღალი მხედრული წოდება. დიდი საბრძოლო და შრომითი დამსახურების აღსანიშნავად საბჭოთა კავშირის გმირის, სოციალისტური შრომის გმირის ლ. ი. ბრეჟნევის სამშობლოში — დნეპროპეტროვსკის ოლქის ქალაქ დნეპროძერჟინსკში აიგო მისი ბრინჯაოს ბიუსტი. ეს გამოხატავს საბჭოთა ადამიანების დიდ მადლიერებას ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევისადმი, რომელიც დაუცხრომლად შრომობს ქვეყნად მშვიდობისათვის, საყვარელი სოციალისტური სამშობლოს აყვავებისათვის, ომის წლებში მხედრული გმირობისათვის. ეს მისი მოღვაწეობის დიდი შეფასებაა, რაც სამშობლოს, ლენინის პარტიის დიადი საქმის უანგარო სამსახურის შთამაგონებელი მაგალითია.

გამარჯვების დღის აღსანიშნავი ზეიმის ამოთეოზი გახდა რეკვიემი უცნობი ჯარისკაცის საფლავთან. ოთხი ათასამდე სტუდენტმა და მოსწავლემ, საბჭოთა არმიის მეომარმა, ალრეთვე პიონერხელმძღვანელთა რესპუბლიკური შეკრების წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა ამ ლამაზ თეატრალიზებულ მუსიკალურ წარმოდგენაში.

ზუსტად 21 საათზე საქართველოს დედაქალაქის ცაში ოცდათერთმეტჯერ დაიგრიალა საღღესასწაულო სალუტმა ომათი ხსოვნის პატივსაცემად, ვინც სამშობლოს შესწირა სიცოცხლე, ომთ პატივსაცემად, ვინც გმირულად იბრძოდა ჩვენი გამარჯვებისათვის, განვლო ომის მრისხანე გზები და დღეს ჩვენს გვერდთ არის, გამარჯვებული საბჭოთა ხალხის პატივსაცემად.

ფოთელ მებადურთა ნადავლი

ვაჭკაცური გპარჯით

ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველო — სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული

ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველოს (უფროსი ე. კარტოხია, პარტკომის მდივანი ი. მამალაძე) კოლექტივმა წლის პირველი კვარტალის მედეგების მიხედვით პირველი ადგილი დაიკავა. აზოვ-შავი ზღვის აუზის საწარმოებისა და ფლოტების სოციალისტურ შეჯიბრებაში. მას მიენიჭა სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროს აზოვ-შავი ზღვის მეთევზეობის მთავარი სამმართველოსა და დარგობრივი პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

„საქთევზმრეწვის“ ვაგრთიანების გენერალურმა დირექტორმა ლ. ჯალაბამ საქანფორმის კორესპონდენტს უთხრა:

— ფოთელ მებადურთა წარმატება მათი მრავალი თვის ჩამორჩენის შემდეგ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის, მთლიანი პროდუქციის გამოშვებისა და სასურსათო პროდუქციის ღირებულების პირველი კვარტალის სახელმწიფო დავალებები. გარდა ამისა თევზსაყინავი ტრაულერის „კოლხიდის“ ეკიპაჟმა (კაპიტანი ვ. დობორჯგინიძე, კაპიტანის პირველი თანაშემწე ნ. ციცქარავა) ვალმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და დაჯილდოებულია სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროსა და კავეის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის ვიმპელით, თევზსაყინავი ტრალერის „ფოთის“ ეკიპაჟმა კი (კაპიტანი ი. მაზურენკო, კაპიტნის პირველი თანაშემწე ფ. ჩაჩიბაია) მესამე ადგილი დაიკავა.

ფოთელ მებადურთა მიღწევები შრომის ორგანიზაციის, თევზჭერის ტექნოლოგიისა და თევზის გადამუშავების გაუმჯობესების, თევზჭერის ახალი ტექნიკის ათვისების შედეგია.

სამმართველოს კოლექტივს, რომელმაც ფარფოდ გაუძლო სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმების შესრულებისათვის, გადაწყვეტილი აქვს ღირსეული წვლილი შეიტანოს რესპუბლიკის მშრომელების მიერ ნაკისრი ვალდებულების განხორციელებაში. ამ მიზნით ისინი ბევრ დიდმნიშვნელოვან ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებას ახორციელებენ: ვაკაზე ადრე ამთავრებენ გემების შეკეთებას, კარგად იყენებენ ახლად მიღებულ პროგრესულ მოწყობილობას, აქტიურად ემზადებიან შემოდგომა-ზამთრის თევზაობისათვის.

ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველოს „თბილისის“ შორეული ატლანტიკიდან უხვი ნადავლით დაბრუნდა. მისმა ეკიპაჟმა 120 დღე დაჰყო ოკეანეში. მებადურებმა ხასხელოდ დაამთავრეს რიგით მეოხუთმეტე რეისი და სამშობლოს დიდძალი თევზის პროდუქტები მიხეს.

ბოლო რეისი „თბილისისათვის“ ხელსაყვანი იყო. მებადურებმა გაბლილ ოკეანეში რეგვა 1975 წლის 19 ოქტომბერს დაიწყეს და წლეულს 19 თებერვალს დაამთავრეს. ერთ თვესა და სამ დღეს მოუნდა გემი ატლანტიკის ოკეანიდან შმობლიურ ფოთამდე მგზავრობას. მარტის ბოლო რიცხვებში კი დიდი ნადავლით დატვირთული ფოთის ნაპირებს მოადგა. ქალაქის მშრომელები, მეზობელი რაიონებიდან ჩამოსული სტუმრები გეშის ეკიპაჟს სიხარულით შეხვდნენ. გაიმართა სახელდახელო მიტინგი.

ამ ზეიმის დროს დიდი ხნის უნახავ მეგობარს კოტე ჯანტურიას შეეხვედ. იგი პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის მოწოდებისთანავე უყოყმანოდ წავიდა რეგვის შორეულ რეისზე ტრაულერ „თბილისის“ კაპიტან-დირექტორის გ. კბშნაკინის პირველ თანაშემწედ. მან ბევრი საინტერესო ეპიზოდი გაიხსენა მეზღვაურთა ცხოვრებიდან, ილაპარაკა მათ გამარჯვ, თავდადებულ შრომაზე, რაც დიდ ვალკაცობასთან, გამბედაობასთან არის დაკავშირებული. ხუმრობა ხომ არ არის უზარმაზარ ოკეანეში თევზის ქარავანს მიაგნო, და თუ მიაგნებ, რაც შეიძლება სწრაფად, ოპერატიულად ბუშვა ტრალი, რომ ქარავანმა არ გაგასწროს. ეს მეტად რთული საქმეა. სამუშაო ეხმაურად უნდა შესრულდეს. მერმე საჭიროა მისი ამოზიდვა გემბანზე, დახარისხება, შემდეგ მექანიზმებით გამყინავ კამერებში თევზის მოწოდება, დაკონსერვება და ა. შ.

„თბილისის“ კაპიტან-დირექტორი გ. კიშნიაკინი ყოველთვის ზუსტ და მახასსწრაფულ განკარგულებას აძლევს მებადურებს, იგი ჩინებული ორგანიზატორია.

ხშირად ხდება ხოლმე, რომ ტრაულერები რეგვაში თევზობთ ირჩებიან და გეგმებს მაინც ვერ ასრულებენ. წარსულში ამის უამრავი მაგალითი იყო ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველ ო შ ი, რამაც მძიმე დღი დასვა არა მარტო სამმართველოს საწარმოო და საფინანსო გეგმების შესრულებას, არამედ ქალაქის მრეწველობის გეგმების შესრულებასაც.

რესპუბლიკის ერთადერთი, საოკეანო თევზჭერის სამმართველო, რომელიც 12 წლის წინათ ჩამოყალიბდა ფოთში, თბილისის ყოველწლიურად ჩამორჩებოდა. უკანასკნელ დრომდე იგი ძალიან ცუდ ფინანსურ მდგომარეობაში იყო, მოისუსტებდა შრომის დისციპლინა, სამმართველოს მთელი რიგი რგოლები დაუკომპლექტებელი იყო. მაღალკვალიფიციური კადრებით, დაბალ ლონეზე იდგა ტრაულერების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მებადურთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, კონტროლისა და მომთხოვნელობის შესუსტებამ სერიოზული მატერიალური და მორალური ზიანი მიაყენა სამმართველოს კოლექტივს. გარდა ამისა, სამმართველომ ვერ უზრუნველყო ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან (რესპუბლიკაში არ არსებობს ორგანიზაცია, რომელიც საოკეანო თევზჭერისათვის მადალკვალიფიციურ სპეციალისტებს მოამზადებს) მოელინებული საკადრო სპეციალისტების ბინითა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფა, ამიტომ დიდი იყო კადრების დენადობა. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ერთ გემზე საშუალოდ სამჯერ შეიცვალა კაპიტან-დირექტორი, 12 წლის მანძილზე კი ზანზმეწონალად არ მივიდოდა სხვა რესპუბლიკებიდან კადრების შოწვევა. გადაწყვეტილი ოდენ ფოთელ მეგეგორნია კადრებ სამმართველო დაგვეკომპლექტებინა სპეციალისტებით, რომლებიც ეროვნულ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვთ.

სამმართველოს მუშაობის ძირითადი ფესვიანად გარდასაქმნელად გატარებულ დიდ ღონისძიებებს შორის საგულისხმოა კომპლექსური სოციალისტური შეჯიბრების დაწერგვა ხომალდებს ეკიპაჟებსა და ორკოლიკოძეს სახელობის გემშემკეთებელ ქარხნის შუმუშებს შორის. სპეციალურად შემუშავებული მეთოდით სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული გემების ეკიპაჟს სახარელით ფინანსურ ინფორმაციას აწვდიან გემშემკეთებლებს თავიანთ მუშაობაზე, ასე იქცევიან გემშემკეთებლებიც. დაწესდა გარდამავალი წითელი დროშები, ვიმპელები, დიპლომები, მორალურ-მატერიალური წახალისების სხვა ფორმები გამარჯვებულთათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოკეანის ხიმღიდრე ხალხს

ტრაულერები და ადამიანები

□ 120 დღე ოკეანეში □ ტრაულერ „თბილისის“ ნანადირევი □ მებადურთა მილიონები □ გზა რიგითი მეზღვაურობიდან კაპიტან-დირექტორობამდე □ ახალგაზრდა კადრებზე ზრუნვით □ მებადურთა სიტყვა და საქმე.

ნ-ჯერ სამმართველოს უფროსი.

წარსულში რესპუბლიკაში შექმნილმა არაჯანსაღმა სამუშაო პირობებმა, დაწლის კარამდე მიიყვანა ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველ ო ს. ძნელი შეიქმნა ჩამორჩენის ლიკვიდაცია. მაგრამ უკანასკნელ წლებში სამართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახულ კონკრეტულ ღონისძიებათა განსახორციელ ე ბ ლ ად „საქთევზმრეწვის“ გაერთიანებამ, ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციამ ყველაფერი გააკეთეს და ჩამორჩენის თავი დააღწიეს. მარშან პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის ბიურომ ორჯერ განიხილა სამმართველოს მუშაობის საკითხი, დასახა გეგმების მუშაობის, მათი ვადაზე ადრე და ხარისხოვნად რეგმოტების კონკრეტული ღონისძიებანი. მთელი ქალაქი დაირაზმა სამმართველოს დასახმარებლად. ქ ა ლ ა ქ ი ს წარმოება-დაწესებულებებში შეირჩა კადრები, პროლიტმუშაკები, კაპიტნის პირველი თანაშემწეები, სხვა სპეციალისტები.

პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. უბილავამ ჩვენთან საუბარში გაცადა: — ჩვენ მხედველობაში მივიღეთ კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების ცუდი მდგომარეობა, საცხოვრებელი ბინების უკმარისობა, ამიტომ მიმართ ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს მომავალი თაობის აღზრდა საზრგადოების სრულფასოვან წევრებად. როდესაც მშობლები შვილების საკუთარ ოჯახთან ერთად ცხოვრობენ, მესამე თაობა აღიზრდება უფროსთა და უმცროსთა ურთიერთდაზმოკიდებულების ცოცხალ და ბუნებრივ მაგალითზე. ეს ავითარებს საერთოდ კოლექტიურობას, თავშეკავებულობას, უფროსების პატივისცემას, ავითარებს მოვალეობებისა და ნათესაურ გრძნობებს (ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ პატრიოტული გრძნობის გაძლიერების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს). ყოველი მათგანი კაცობრიობის სულიერი კულტურის, მორალურ ღირებულებათა მნიშვნელოვან მონაპოვრებს მიეკუთვნება. ტრაულერების შეკეთების ჩქარისსრული მეთოდი დაინერგა გემშემკეთებელთა ქარხანაში. ქარხანასა და საოკეანო თევზჭერის სამმართველოს შორის ფორმდება ორმხრივი ხელშეკრულება გემების ხარისხოვნად შეკეთებისა და ხანგრძლივი ექსპლოატაციის გაუმჯობესების მიზნით. პრაქტიკაში დაინერგა შეკეთებულ გემებზე საგარანტიო პასპორტის გაცემა. ამან კი დიდი ეფექტი გამოიღო. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ტრაულერი „საქართველო“ კაპიტალური შეკეთებიდან ვადაზე 41 დღით ადრე გამოვიდა.

ბევრ საჭირბოროტო დღევანდელ საკითხზე, მომავლის პერსპექტივებზე გვესაუბრა სამმართველოს უფროსი დ. კარტოხია.

— როცა ცუდად ვმუშაობდით და გვაკრიტიკებდნენ, — თქვა მან, — ჩვენ ძალიან განვიცდიდით, ამიტომ ბევრს ვმუშაობდით, მთელი ჩვენი კოლექტივი ერთიან შეკავშირებულ ორგანიზმად იქცა და შედეგმაც არ დაყოვნა. ახლა, როცა ერთგვარი წარმატება მოვიპოვეთ, გვინდა ყველას, განსაკუთრებით ჩვენს ახალგაზრდებს გავაცნოთ ის სახელოვანი ადამიანები, რომლებმაც დიდი ენთუზიაზმით შეუფიეს შორეულია ნაოსნობის სიძნელეებს. ამ სიძნელეებთან ჭიდილში იწრთობა მათი ხასიათი. რესპუბლიკის ახალგაზრდობამ უნდა იცოდეს, რომ მებადურის შრომა ძნელი, მაგრამ მეტად რომანტიკული და საამაყო.

ვეტერან მებადურთა სახელოვანი ეპოქადა ზრდის ახალგაზრდა კადრებს, რომლებიც მამათა კვალზე წარმატებით იბრძვიან დასახული მიზნის უფუო განხორციელებისათვის. ისეთთა შორის არის უშანგი ოსეელიანი — ტრაულერ „ოქტომბრის“ კაპიტან-დირექტორი. მესტიის რაიონის სოფელ ლაბირში დაბადებული ეს ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი უკვე გამოცდილებას ადასტურებს ახალგაზრდებს, 1970 წლიდან უნარიანად ხელმძღვანელობს დიდ ტრაულერს. ფოთელმა მურმან კაპანაძემ რეგვითი მეზღვაურობიდან კაპიტან-დირექტორამდე სანელოვანი გზა განვლო. 33 წლის მეზღვაური წლეულს შორეულ რეგვაში პირველად გაუძღვა ტრაულერ „საქართველოს“.

კარგად მუშაობენ ბერეთელი „მცხეთისა“ და „გურიის“ კომკავშრომულ-ახალგაზრდული ეკიპაჟები, რომელთა კაპიტან-დირექტორებია უშანგი ხაჩიძე და ხუხაკა“ მუდარისოვი. პირველი თანაშემწეებია ალექსანდრე ბოლქვაძე და ბორის წიქორიძე.

წლეანდელი წლის პირველი კვარტალის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სამინისტროს ვიმპელი და პირველი ფულადი პრემია მიიღო ტრაულერ „კოლხიდის“ ეკიპაჟმა (კაპიტან დირექტორი ვ. დობორჯგინიძე, პირველი თანაშემწე ნ. ციცქარავა), ხოლო ტრაულერ „ფოთის“ ეკიპაჟმა (კაპიტან-დირექტორი ი. მაზურენკო, კაპიტნის პირველი თანაშემწე ფ. ჩაჩიბაია) აზოვ-შავი ზღვის აუზში მესამე ადგილი დაიკავა და ფულადი პრემია მიიღო.

ქართველ მებადურთა ნაჭვნეულების ღირსია.

ბ. ნოდია,
„კომუნისტის“ სპეც. კორეს. პონდენტი.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — ეს ეს არის სავსე ტრალი გემბანზე ამოზიდა „კოლხიდას“ ეკიპაჟმა; მარჯვნივ — ფოთის ნავსადგურს თევზპროდუქტებით დატვირთული კიდევ ერთი გემი მოადგა.

Ი. ჰუსონმელიძის (საქანფორმის ფოტოქრონიკა) და დ. ამბაკლიას ფოტო.

სახლ-მუზეუმი სოფელ ხვარბეთში

მახარაძე, 10 მაისი. (საქინფორმის კორ. ვ. გულაშვილი). ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 31-ე წლისთავის დღეს მახარაძის რაიონის სოფელ ხვარბეთში გაიხსნა ძმების — საბჭოთა კავშირის გმირების გენერალ-პოლკოვნიკის კონსტანტინე და პოდპოლკოვნიკ გიქტორ ლესელიძეების სახლ-მუზეუმი.

მუზეუმის გახსნაში მონაწილეობდნენ რაიონის საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები, დიდი სამამულო ომის ვეტერანები, სოფელ ხვარბეთის — გმირთა სამშობლოს კომკავშრომლები და პიონერები.

ძმები ლესელიძეების სახლ-მუზეუმის გახსნის აღსანიშნავად გამართულ მიტინგზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ე. მალაზონია, ყოფილი მე-18 არმიის შტაბის მეთაური, გენერალ-მაიორი ნ. თავართქილაძე, კავკასიისათვის ბრძოლის ერთ-ერთი გმირი, გადამდგარი გენერალ-მაიორი გ. ყურაშვილი, ბერლინის განთავისუფლების მონაწილე, ხუთი წითელი დროშის ორდენის კავალერი, გადამდგარი პოლკოვნიკი ს. შაპოვალოვი, პოლიტმუშაკები — გადამდგარი პოლკოვნიკები ვ. ჯანჯღავა, მ. ბუსკაძე, კომისარი ქალი, გადამდგარი მაიორი ანასონ ოლქის ქალაქ გენიჩესკის საპატაკო მოქალაქე ვ. თალაკვაძე, რაიონის წითელი კავალისმაძიებლები.

მათ ილაპარაკეს მე-18 არმიის გმირული გზაზე, რომელსაც სარდლობდა გენერალ-პოლკოვნიკი ვ. ბ ე ბ ი ა ნ ი. ნ. ლესელიძე, ამ ლეგენდარული შენაერთის მებრძოლთა გმირობაზე, რომელიც მონაწილეობდა კავკასიის დაცვაში, ქერჩის, ნოეროროსიისკის, სევასტოპოლის განთავისუფლებაში, გაიარა გზა კავკასიიდან ბერლინამდე.

ძმები ლესელიძეების სახლ-მუზეუმს გმირის შვილმა ო. ლესელიძემ საჩუქრად გადასცა მამისა და ბიძის ფოტოდოკუმენტური და პირადი ნივთები.

რაიონის საზოგადოებრიობამ, სოფელ ხვარბეთის ახალგაზრდობამ და წითელმა კავალმაძიებლებმა მიიღეს წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისაგან, რომელიც ულოცავენ მას საბჭოთა კავშირის მარშლის მაღალი მხედრული წოდების მინიჭებას.

ალმასკომების თავმჯდომარეთა კონფერენცია

ს ო ხ უ მ ი. გლადიმერ ილიას-ძე ლენინის ცხონები სიტყვის „რა არის საბჭოთა ხელისუფლება?“. გრამაფონაწერის მოსმენით დაიწყო მუშაობა მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების ალმასკომების თავმჯდომარეთა ორდღიანმა საინფორმაციო-პრაქტიკულმა კონფერენ ც ი ამ, რომელიც საქართველოს კომპარტიის იფუზაზეთის საოლქო კომიტეტმა მოიწვია. კონფერენციაში მონაწილეობენ აგრეთვე ტერიტორიული პროგრამა პარტიული ორგანიზაციების მდივნები, პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეები, რაიონული და საქალაქო საბჭოების ალმასკომების თავმჯდომარეები, მდივნები და ინსტრუქტორები.

კონფერენცია გახსნა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ხინთბამ. კონფერენციის დღის წესრიგშია საკითხი: სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის შესახებ“.

კონფერენციის პროგრამაშია აფხაზეთის ასსრ ხელმძღვანელი მუშაკების მოხსენებანი სახალხო მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს განვითარებისა და უკონომიკის, კულტურის, მომსახურების სფეროსადმი ხელმძღვანელობის, სხვადასხვა ნეგატიური მოვლენისა და სოციალისტური მართლწესრიგის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საქმეში ადგილობრივი საბჭოების ამოცანების შესახებ. კონფერენციის მონაწილენი მეობდნენ ადგილობრივ საბჭოებში პარტიული ჯგუფების მუშაობის გამოცდილების, ორგანიზაციულ-მასობრ ი ვ ი მუშაობის გაუმჯობესების, ტერიტორიული პირველადი პარტორგანიზაციების როლის ზემდგომი ამოლების, სოფლად სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის პრაქტიკის, სასოფლო და სადაბო საბჭოების ალმასკომებში საქმის წარმოების სიუკეთესო მეთოდების შესახებ.

(საქინფორმი).

ოთელ მებადურთა ნადავლი

ვაჭკაცური გპარჯით

ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველო — სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული

ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველოს (უფროსი ე. კარტოხია, პარტკომის მდივანი ი. მამალაძე) კოლექტივმა წლის პირველი კვარტალის მედეგების მიხედვით პირველი ადგილი დაიკავა. აზოვ-შავი ზღვის აუზის საწარმოებისა და ფლოტების სოციალისტურ შეჯიბრებაში. მას მიენიჭა სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროს აზოვ-შავი ზღვის მეთევზეობის მთავარი სამმართველოსა და დარგობრივი პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

„საქთევზმრეწვის“ ვაგრთიანების გენერალურმა დირექტორმა ლ. ჯალაბამ საქანფორმის კორესპონდენტს უთხრა:

— ფოთელ მებადურთა წარმატება მათი მრავალი თვის ჩამორჩენის შემდეგ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის, მთლიანი პროდუქციის გამოშვებისა და სასურსათო პროდუქციის ღირებულების პირველი კვარტალის სახელმწიფო დავალებები. გარდა ამისა თევზსაყინავი ტრალერის „კოლხიდის“ ეკიპაჟმა (კაპიტანი ვ. დობორჯგინიძე, კაპიტნის პირველი თანაშემწე ნ. ციცქარავა) ვალმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და დაჯილდოებულია სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროსა და კავეის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის ვიმპელით, თევზსაყინავი ტრალერის „ფოთის“ ეკიპაჟმა კი (კაპიტანი ი. მაზურენკო, კაპიტნის პირველი თანაშემწე ფ. ჩაჩიბაია) მესამე ადგილი დაიკავა.

ფოთელ მებადურთა მიღწევები შრომის ორგანიზაციის, თევზჭერის ტექნოლოგიისა და თევზის გადამუშავების გაუმჯობესების, თევზჭერის ახალი ტექნიკის ათვისების შედეგია.

სამმართველოს კოლექტივს, რომელმაც ფარფოდ გაუძლო სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმების შესრულებისათვის, გადაწყვეტილი აქვს ღირსეული წვლილი შეიტანოს რესპუბლიკის მშრომელების მიერ ნაკისრი ვალდებულების განხორციელებაში. ამ მიზნით ისინი ბევრ დიდმნიშვნელოვან ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებას ახორციელებენ: ვადაზე ადრე ამთავრებენ გემების შეკეთებას, კარგად იყენებენ ახლად მიღებულ პროგრესულ მოწყობილობას, აქტიურად ემზადებიან შემოდგომა-ზამთრის თევზაობისათვის.



სოციოლოგიური კვლევა

მეჯიცე ფუძე — ჯანსაღი მომავალი

ოჯახის პრობლემები და საზოგადოებრივი აზრი

ჩვენ რესპუბლიკის ცხოვრებაში თვალსაჩინო მოვლენაა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი საბჭოს შექმნა.

საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი საბჭოს ერთ-ერთი სექცია ცხოვრების საბჭოური წესის პრობლემებს ეთმობა. მისი მიზანია: შეისწავლოს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, დაინტერესდეს, რა აღელვებს საზოგადოებას, რა აწუხებს, როგორ შეიძლება ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტის ოპტიმალური ვარიანტის მოძებნა, რა გზები და ხერხები გამოინახება მტკივნეული საკითხების გადაჭრისათვის და ა. შ.

ერთ-ერთ ასეთ საკითხთა რიგში დგება ოჯახის შექმნისა და საერთოდ ოჯახთან დაკავშირებული სოციალური პრობლემები.

აპრილის ბოლოს გაიმართა საბჭოთა სოციოლოგების ასოციაციის ოჯახის სექციის სხდომა, რომელიც მიეძღვნა ოჯახის მომსახურების კონსულტაციის საკითხებს. აღინიშნა, რომ დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს ოჯახური ურთიერთობის განმტკიცების პრობლემებს, რასაც დიდ მნიშვნელობას ენიჭება სკკპ XXV ყრილობა.

საყოველთაოდ ცნობილია ოჯახის როლი და მნიშვნელობა საზოგადოების განვითარებისათვის. საზოგადოება ოჯახს სხვადასხვა სოციალურ ფუნქციას აკისრებს. ამათგან მნიშვნელოვანია შთამომავლობის შექმნა-განახლების, ახალი თაობის აღზრდისა და სოციალიზაციის, ოჯახის წევრთა ემოციური ურთიერთობის განხორციელების ფუნქციები და სხვ.

ოჯახს მრავალი მეცნიერება შეისწავლის და იკვლევს, მაგალითად, იურისპრუდენცია, ეთნოგრაფია, სტატისტიკა, ეკონომიკა, ფსიქოლოგია, მედიცინა, პედაგოგიკა. ოჯახის პრობლემები არსებით საკითხს წარმოადგენს კონკრეტული სოციოლოგიისთვისაც. და რაოდენ სასიხარულოა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილი საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელ საბჭოს მიზნად აქვს დასახული ოჯახის კონკრეტულ-სოციოლოგ ი ურ ი კვლევის კოორდინაცია.

ოჯახური პრობლემები უამრავია. მრავალი მათგანი პირდაპირ უკავშირდება ქორწინებას, რომლითაც საუფლელი ეკრება ოჯახს. ოჯახის განვითარების შემდეგი ფაზებისათვის ძლიერდება ისეთი პრობლემები, როგორიც არის—მეუღლეთა სოციალური სტატუსის ურთიერთგავლენა, მცირეწლოვანი ბავშვის მოვლა-პატრონობაში დამხმარის პრობლემა, ხანდაზმული მშობლებისა და შვილების მცირე ოჯახების ურთიერთობის პრობლემა, ოჯახური პოზიციები და ოჯახი, როგორც სოციალური ქცევის სისტემა, ოჯახის უფროსის პრობლემა, ქალი ოჯახსა და წარმოებაში და სხვ.

ეს უკავშირდება ისეთ საკითხებს, როგორიც არის ეთნიკური ფსიქიკის გავლენა ოჯახზე, ოჯახის სოციალურ-პროფესიული სტრუქტურა, ოჯახის აღმზრდელობითი ფუნქცია, ოჯახი—ნათესაური გრძნობის, როგორც კაცობრიობის კულტურის ერთ-ერთი მონაპოვრის შემნ

ფაქტები მოვლენები პროგლემები

საკადესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

მსოფლიოს ამბები

ღვაწლის დიდი აღიარება

საზღვარგარეთის ინფორმაციის ორგანოები ვრცელ კომენტარს უძღვნიან ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისათვის უმაღლესი მხედრული წოდების — საბჭოთა კავშირის მარშლობის მინიჭებას და მიტინგს დნეპროძერჟინსკში.

ჩეხოსლოვაკიის „რუდე პრავო“ ლ. ი. ბრეჟნევისათვის საბჭოთა კავშირის მარშლის წოდების მინიჭებას და დნეპროძერჟინსკში მისი ბრინჯაოს ბუსტის გახსნას სკკპ ცენტრალური კომიტეტის „გენერალური მდივნის ღვაწლის დიდი აღიარების (მაგფინ. გამოხატულებას უწოდებს.

მსოფლიო, აღნიშნავს გაზეთი, ლ. ი. ბრეჟნევს იცნობს როგორც თეორეტიკოსსა და პოლიტიკოსს, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის უაღრესად გამოჩენილ მოღვაწეს.

პოლონური გაზეთები დიდი სათაურებით „ბრძოლასა და შრომაში დამსახურებისათვის“, „უდიდესი ღვაწლის აღიარება“ — ეპერველ გვერდზე აქვეყნებენ ცნობას ლ. ი. ბრეჟნევისათვის საბჭოთა კავშირის მარშლის წოდების მინიჭების შესახებ და დნეპროძერჟინსკში მშრომელთა მიტინგის ანგარიშს.

„ტრიბუნა ლუდუ“ აღნიშნავს ლ. ი. ბრეჟნევის როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ამასწინანდელი XXV ყრილობის მეოდრეშის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებისათვის მებრძოლის როლს. როგორც თეორეტიკოსი, პოლიტიკოსი და ლენინური პარტიის ხელმძღვანელი, წერს გაზეთი, ლ. ი. ბრეჟნევი დიდი და დამსახურებული საერთაშორისო ავტორიტეტით სარგებლობს.

უუბოსლავიის „პოლიტიკა“ აღნიშნავს, რომ ეს ბრძანებულება გამოქვეყნდა იმ მომენტში, როცა ხალხები დღესასწაულობენ ფაშისტური დამყურობლების წინააღმდეგ დიდ სამამულო ომში გამარჯვების დღეს: „ბრონბა“, აგნობს რა მკითხველებს ორატორიების გამოსვლებს დნეპროძერჟინსკში გამართულ მიტინგზე, ხაზს უსვამს სიტყვებს იმის შესახებ, რომ სკკპ XXV ყრილობამ ახალი ძალით ცხადყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, როგორც თეორეტიკოსისა და პოლიტიკოსის, პარტიისა და ხალხის ლიდერის, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის უაღრესად ავტორიტეტული მოღვაწის შესანიშნავი თვისებები.

ინგლისური „ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ ლ. ი. ბრეჟნევისათვის უმაღლესი მხედრული წოდების მინიჭება — ეს როდია მარტოოდენ მხედრული დიდება, რომელიც პოლიტიკურ მოღვაწეს მივნიჭა. „მთელი მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში ლ. ი. ბრეჟნევმა საუკეთესოდ გამოიჩინა თავი მოკავშირეებში“, — წერს გაზეთი. „ბარდინი“ ცნობას ლ. ი. ბრეჟნევის ღვაწლის დიდი აღიარების შესახებ ნეგდავს სათაურით „ჯილდო მშვიდობისათვის რუს მებრძოლს“. „მორნინგ სტარი“ აღნიშნავს, რომ „მარშლის წოდების მინიჭება და ბიუსტის გახსნა დაემთხვა ფაშიზმზე დიადი გამარჯვების წლისთავს, რომელსაც საბჭოთა კავშირში აღნიშნავენ, როგორც საერთო სახალხო დღესასწაულს“. (საკადესი).

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს განცხადება

ჰელსინკი. (ხაკადესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭომ მოითხოვა, რომ ბოლო მოეღოს უცხოეთის, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევას ლიბანის საშინაო საქმეებში. ასეთი მოქმედება საფრთხეს უქმნის ქვეყნის ერთიანობას და ამაკოლებს ღონისძიებებს, რომლებიც მშვიდობიანი და დემოკრატიული მოწესრიგებას მისაღწევად ხორციელდება.

აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში მშვიდობის მსოფლიო საბჭო აღნიშნავს, რომ უცხოეთის მზარდი მასშტაბის ჩარევის მიზანია გაამლიერონ მეშარჯვენე ელემენტები, მოსპონ პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობა და ლიბანი ჩასცენ ლიბანის დემოკრატიულ და პროგრესულ ძალებს.

„ლიბანელ ხალხს უფლება აქვს თვითონვე გადაწყვიტოს თავისი პრობლემები ვარედან ჩაურევლად. ქვეყანაში დემოკრატიულ ვარდაქმნათა ხასიათის განსაზღვრა და ლიბანის პოლიტიკური და ეკონომიური ინსტიტუტების რეორგანიზაცია მხოლოდ და მხოლოდ ლიბანელი ხალხის საქმეა“, — ხაზგასმულია განცხადებაში.

იუნკტადის სესია

ნაირობი. (საკადესი). ჯერთანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის „იუნკტადის“ მეოთხე სესიის დღევანდელი დილის სხდომა ხელმძღვანელ ფაქტორებს ეუბნებოდა ბოლოს ბოლოს, ეს ალბათ ბოლო სხდომა ყოფილიყო, ეს ალბათ ბოლო ფაქტორი ყოფილიყო, ეს ალბათ ბოლო ფაქტორი ყოფილიყო, ეს ალბათ ბოლო ფაქტორი

ᲫᲘᲠᲘᲗᲘ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ

ᲔᲝᲓᲐᲠ ᲯᲐᲚᲐᲦᲝᲜᲘᲐ

ᲘᲡ ᲪᲮᲠᲐ ᲛᲔᲠᲘᲡᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲘᲧᲝ ᲛᲔᲠᲘᲜᲪ

თუმცა ყოველთვის არის ლამაზი,
ის ცხრა მაისი სხვა იყო მაინც.
გამარჯვების იმ პირველ პარადზე
ქვეყნის სიმშვიდე მოჰქონდა მაისს.

თითქოს მაისის მზემდე ამაღლდა,
ის დღე უცნაურ ყინით და ნდომით,
და მოდიოდნენ გზებზე ამაყად
ვეტერანები იმ დიდი ომის.

ჩაცვენილ ფერდით, ჩავარდნილ მკერდით,
და სიხარულით სავსე თვალებით,
მოაბიჯებდნენ მამების გვერდით
დიდი შიმშილის ვეტერანებიც.

ძუძუზე მეტი შიში რომ ჰამეს,
გამოზრდილები პურის ბარათზე,
შიმშილისაგან წართმეულ ღამეს,
ისევ საკუთარ ცრემლს რომ პარავდნენ.

იცოდნენ, პური არ იყო სახლში
და პურს არ თხოვდნენ საბრალო დედას...
ო, ასეთ ბავშვებს, ყველა იმ ბავშვებს
მე დავკიდებდი მამაცთა მედალს.

ვინც კითხულობდა მამების ამბავს
შეშინებული დედის თვალებში,
ვისაც პურივით შიოდა, ალბათ,
გაცინებული დედის ალერსი.

მათ, ვინც საქვეყნო საქმე აკეთეს,
არ გააოხრეს ზვრები და ყანა,
ვინც ამზადებდა ღამით გაკვეთილს,
მთვარის შუქზე და
მშიერი თანაც.

...და დაზგასთან თუ საბავშვო-ბაღში
შიმშილ-სიცივეს ჩუმად ითმენდნენ...
ო, ასეთ ბავშვებს, ყველა იმ ბავშვებს,
მე დავკიდებდი ორდენს დიდების.

ვინც, ათი წლისა დაბრძენდა უკვე,
ოჯახის მძიმე ტვირთი აიღო,
ვინც უფროსივით, საკუთარ ლუკმას,
უთმობდა უმცროს ძმას და დაიკოს.

ვინც დღისით მშიერ თვალებით ჭამდა
მამების სურათს, ცრემლებს და ლოდინს,
ღამით სიზმარში მოსული მამა
უთობდა ცივ და გაყინულ ლოგინს.

მათ, ვინც სიკვდილის ბანაკი მოვლეს,
ანდა დახაულ ჯურღმულში დაშრენ,
როგორც ზოიას და როგორც ოლეგს,
მე დავუდგამდი ძეგლებს იმ ბავშვებს!

ᲨᲘᲠᲘᲛᲝᲣᲨᲕᲚᲔᲚᲗᲐ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ

ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲗᲐᲒᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ

ეს-ეს არის მინელდა მოსკოვისა და ლენინგრადის თეატრების სპექტაკლების მრავალფეროვანი შთაბეჭდილებები. ამჯერად ესტაფეტა გადაეცა ერვენის დრამატულ თეატრს, რომელიც სეზონის დაბადების მე-10 წლისთავს აღნიშნავს. შექმნის დღიდანვე თეატრის ხელმძღვანელია სსრკ სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი პრაჩია ყაფლანიანი.

ათი წელი!.. ეს იყო ამ თეატრის დიდი გამოცდა, ყოფნა-არყოფნის წლები. თეატრმა გამოიცდა წარმატებით ჩაბარა, სასცენო გამომსახველობითი ხერხების დაუცხრომელი ძიებით თავისი მუდმივი მაყურებლის სიყვარულიც მოიხვეჭა და რესპუბლიკის იქითაც აღიარება ჰპოვა.

ამ აღიარებამ შეკრიბა კ. მარჯანიშვილის თეატრში თბილისელი მაყურებელი სომეხი მეგობრების პირველ სპექტაკლზე, სომხური დრამატურგიის კლასიკოსის აკოფ პარონიანის ცნობილი კომედიის „აღმოსავლეთელი დანტისტის“ სანახავად.

დაიკრა მეგობრობის პირველი ტაში, ითქვა გულითადობის სიტყვები... და სპექტაკლი დაიწყო.

დრამატურგმა თავის პირველ კომედიაში ერთმანეთს დაუპირისპირა ოჯახის ერთგულებისა და ღალატის პრობლემა და ოჯახური კონფლიქტის ფონზე ცოლ-ქმრობის ურყევი კანონის აღმოსავლეთური ტრადიციის მოჩვენებითობა, ბიყვობე, უსუსურობა და შინაგანი სიცარიელე გვიჩვენა.

სპექტაკლში ამ ტრადიციის დამცველის სიმბოლურ წარმომადგენლად კბილის ექიმი თაფარნეკოსი გვეყოლინება, 45 წლის ჯანღონით სავსე ვაჟკაცს ექიმის კარიერა 15 წლით უფროსი მეუღლის მართას სიმღიერით მოუხვეჭავს და მკურნალობაში ექიმბაშურ ხერხებს უფრო სცნობს, ვიდრე ევროპულ, ახალ მეცნიერულ მეთოდებს.

ეს სცენა ერთგვარად პირობითია, თუმცა მასში საყალბის ნვეთიც არ არია. იგი თანამიდეკორობით გადაბრწყდა დანტისტის მორალურ-ზნეობრივი მრწამსის მამხილებელ პირობითობაში: ბებერი მეუღლის მოძულე თაფარნეკოსს და მოხუცი ვაჟრის თოვმასის-ახალგაზრდა ცოლს ერთმანეთი უყვართ. ამ სიყვარულს ვეღარ მალავენ და როცა მათი ურთიერთობა გამეღავნდება, აქვე ფარდა ეხდებათ სხვებსაც — თურმე მართასა და თოვმასსაც სწვავთ სიყვარულის სახმიანი... რა ქნან? როგორ მოიქცნენ? დაარღვონ ძველი ტრადიციული რკინის კანონი ცოლ-ქმრობისა? სასამართლოს მიმართონ? გაახმაურონ? თუ... პირში წყალი ჩაიგუბონ და კვლავ ითვალთმაქცონ? სჯობს ეს საიუმღოო ჩვენვე შევინახოთო, ურჩევს აღმოსავლეთელი დანტისტი თაფარნეკოსი და ასეც იქცევიან.

ასეთია ბურჟუაზიულ გარემოში მყოფი ადამიანების ზნეობრივი მრწამსი, — გვეუბნება ავტორი და ამასვე იმეორებს სპექტაკლი. მაგრამ იმეორებს ახალი გამომსახველობითი ფორმით და სწორედ ეს იქცევს ჩვენს ყურადღებას. რეჟისორი აკაკ არ ღალატობს თავის თავს — დღევანდელი მაყურებლის დაინტერესების მიზნით კლასიკას თანამედროვე თვალით კითხულობს. ამის ნიმუში ჩვენ ვნახეთ უფრო ადრე ამავე თეატრის მიერ თბილისში წარმოდგენილ ოტიანის კომედიაში „სიყვარული და სიცილი“.

ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲐ — ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ

ᲔᲠᲔᲕᲜᲘ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

Შ. ყაფლანიანს ამ სპექტაკლშიც უნავად შეუტანია თეატრალური რეჟიუს ელემენტები — ცეკვები, სიმღერები და ამ ელემენტების ფონზე აკეთი მიზანსცენებით გვიხსნის კლასიკური ნაწარმოების პერსონაჟების ვნებებს, ცხოვრებას და ამას აკეთებს ოსტატურად, აღძრული პრობლემის შინაარსს კი არ ამარტივებს და აუბრალოებს, არამედ უნარჩუნებს გამომსახველობით ძალას და მაკურებელი თამამად გადაჰყავს რამპის ჩირაღდნების იქით, სადაც ცხოვრების ავკარგიანობის უტყუარად მაჩვენებელი და ამავე დროს მჩქეფარე ხანახობის მაჯისცემა იგრძნობა, სადაც ფარდებზე მიშუქებულ ᲠᲝᲛ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲒᲕᲐᲮᲡᲝᲕᲓᲔᲡ...

ოცდამეთერთმეტედ ვიზეიმეთ სიკეთის გამარჯვება ბოროტებაზე. მადლიერმა შთამომავლობამ ძეგლებად აღმართა გმირთა სახელები და ზედ გულიდან ამოხეთქილი სიტყვები წაეწერა: „არავინ და არაფერია დავიწყებული“. ისინი ახლა ყველაზე საიმედო გუშაგებად დგანან მშვიდობის სადარაჯოზე და ამ მიწისა და ცის უსაზღვრო სიყვარულს, მისთვის ეთმაგულებასა და თავდადებას შთაგვაგონებენ.

კვირას ძეგლადაღმართულ გმირის წინაშე ერთხელ კიდევ მოწიწებით დასარეს თავი ბოლნისისა და მისი მეზობელი რაიონების მშრომელებმა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, ახალგაზრდებმა, დედაქალაქიდან ჩამოსულმა სტუმრებმა. ბოლნისის შესასვლელში საზეიმოდ გაიხსნა შინმოუსვლელის ქანდაკება, რომლის ავტორია სამხატვრო აკადემიის დოცენტი ა. გომართელი, არქიტექტორები — თ. ვაჩნაძე და გ. გოგოლაშვილი.

ბოლნისის ქვისგან გამოკვეთილი ორფიგურიანი, ხუთმეტრნახევრიანი ქანდაკება დიდებულად შეერწყა გარემოს. მემოქმედს ორიგინალურად აქვს გადაწყვეტილი ნაწარმოები. წაია პლანზეა წამოწეული ის ადამიანური განცდა, რომელიც თან ახლავს საყვარელ მეგობართან განშორებას.

საზეიმო მიტინგი გახსნა პარტიის ბოლნისის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. გოგიტიძემ.

იმ დღეების ეპიზოდები მოიგონეს ომგადახდილებმა გ. კუსალაშვილმა, ქვემო ბოლნისის საშუალო სკოლის მასწავლებელმა რ. აჯაოლიმა, სტალინგრადის ბრძოლების მონაწილემ, პაეტოვის სახლის ერთ-ერთმა დამცველმა ი. მოსიაშვილმა და ა. სააკიანმა. მარადიული ცეცხლის ანთების საპატიო მისია ომის ვეტერანს ნათელა ჩხეიძეს ხვდა წილად. ახალგაზრდობის სახელით სიტყვა წარმოთქვა ლ. გურგენიძემ. შეკრებილებს ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა მიუღოცეს პოეტმა გ. კალაძემ და საქართველოს სსრ დამსახურებულმა მსატვარმა ბ. თალაკვაძემ.

ქართლის ძველ მიწა-წყალზე იმ ეარეცცხლიანი დღეების მოსაგონარი კიდევ ერთი უკვდავების ძეგლი აღიმართა.

Ჩ. ᲛᲐᲛᲘᲪᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲜᲖᲔ: ქანდაკებასთან მარადიული ცეცხლს ანთებს ომგადახდილი ნათელა ჩხეიძე.

ნ. ჩერკასოვის ფოტო.

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲒᲖᲔᲑᲐ

ᲧᲘᲗᲝᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ მცხოვრებმა ფარნაოზ ზაქარიას-ძე ხარაშვილმა რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარმოადგინა 1966 წლის სახელმწიფო სამპროცენტიანი სესხის ოცმანეთიანი ობლიგაცია (სერია 174969, № 50), რომელსაც 2.500 მანეთი მოგება ხვდა.

რ. ᲐᲗᲐᲜᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
შემნახველი სალაროს გამგე.

„ᲕᲓ-ᲔᲥᲝ“ ᲩᲘᲙᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ

სერიულად დამზადდება თბილისის ე. ო. პატონის სახელობის ელექტროშესადუღი მოწყობილობის ქარხანაში. თავიანთი მახასიათებლით ისინი მნიშვნელოვნად სჯობნიან „წინამორბედებს“. ახალ გამმართველებზე უკვე ბევრი შეკვეთა მოვიდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან.

ᲒᲘᲬᲕᲔᲕᲗ „ᲛᲐᲭᲘᲣᲠᲘ“

ეს ახალი დასასვენებელი სახლი ჩინებულად შეერწყა კურორტ გაგრის ლანდშაფტს. იგი პირველ დამსვენებლებს ამ ზაფხულს მიიღებს. მის კომფორტულ ნომრებში ერთდროულად დაისვენებს 500 კაცი. აქ არის აგრეთვე ბავშვებიანი ოჯახებისათვის განკუთვნილი ოთახები. (საქინფორმი).

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ Ს ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობის ინიციატივით ამ დღეებში მოეწყო ვოკალისტთა საკავშირო და რესპუბლიკური კონკურსების ლაურეატის გელა ქოქიაშვილის კონცერტი-შესვენდრა. მომღერალი დარბაზში შეკრებილთ წარუდგინა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ჯ. მუჯირმა.

გელა ქოქიაშვილმა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტი დაამთავრა. იგი სსრ კავშირის სახალხო არტისტის პროფესორ დ. ანდღულაძის კლასში სწავლობდა.

კონსერვატორიაში შესვლამდეც, სტუდენტობის წლებშიც და მის შემდეგაც მომღერალი ხშირად გამოსულა კონცერტებით თბილისში, მოსკოვში, ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში და რაიონში, მონაწილეობა მიუღია და გაუმარჯვნია ვოკალისტთა რესპუბლიკურ და საკავშირო კონკურსებში.

მისი პირველი წარმატება არსენას პარტია იყო ა. ბუკალის ოპერა „არსენაში“, რომელიც კონსერვატორიის საოპერო სტუდიის სცენაზე დაიდგა (1970 წ.). აქვე შესარულა მან ტენორის მთავარი პარტიები ოპერებში — „დაისში“, „ბებერლომ და ეთერში“, „ალეკოში“, „სიყვარულის ნეტარებაში“. „ბოჰემაში“. 1973 წელს შედგა მისი დებიუტი ქუთაისის საოპერო თეატრის ფილიალის სცენაზე ოპერა „დაისში“.

ხელოვნების მუშაკთა სახლში გამართულმა კონცერტმა ყურადღება მიიქცია პროგრამის მრავალფეროვნებით, საშემსრულებლო ხელოვნების კულტურით, დახვეწილი პროფესიონალიზმით. ამ საღამოს მომღერალმა შეასრულა ოტელოს არია (ვერდის ოპერა „ოტელო“), ჩაიკოვსკის „ფლორენციული სიმღერა“, ბონჯოვანის „გენა